



განმცხადებელი (დამინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01230533894 განცხადების თარიღი: 22.02.2023
ხელმოწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/რომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

2023 წლის 22 თებერვლის N23.211.242 განკარგულებით მოწონებული მთავრობის თანხმობები საკრებულოში
გადასაგზავნი

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



წერილის ნომერი: **01-01230533894**
თარიღი: **22/02/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი N01230452186-67; N01230413608-67 (01230513411-67); N01230474-67; N14-01230441675-16; N01230523027-67 განცხადებებით მოთხოვნილია, ქ. თბილისის ტერიტორიაზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დამტკიცებული ფუნქციური ზონის ცვლილება. აღნიშნული საკითხები „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-9, მე-10, მე-12 პუნქტების თანახმად, განხილულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და მოწონებული იქნა 2023 წლის 22 თებერვლის N23.211.242 განკარგულებით.

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტების შესაბამისად, განსახილველად გიგზავნი თ, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 22 თებერვლის N23.211.242 განკარგულება- 6 ფურცელი;

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი - 6 ფურცელი;

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი -6 ფურცელი;

4. მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად

გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ პროექტი სულ -14 ფურცელი.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიცირი
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 23.211.242
22 / თებერვალი / 2023 წ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) 2023 წლის 14 თებერვლის N01230452186-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.033.145) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა;

ბ) 2023 წლის 10 თებერვლის N01230413608-67 (01230513411-67) განცხადებით სერგო გიორგაიამ (პ/ნ 37001058879) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ ფონიჭალაში, ცოტნე დადიანის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.05.02.724) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება;

გ) 2023 წლის 16 თებერვლის N01230474-67 განცხადებით ვლადიმერ გიორგობიანმა (პ/ნ 01011076175) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ლისის ტბის და ვაშლიჯვარს შორის, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.011.053) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

დ) 2023 წლის 13 თებერვლის N14-01230441675-16 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, სამგორის რაიონის სამაჟორიტარო ოლქის მიმართვის (2023 წლის 13 თებერვლის N03-032304473) საფუძველზე, მოითხოვა ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლებაში, IV მიკრორაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.37.012.022) საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება;

ე) 2023 წლის 21 თებერვლის N01230523027-67 განცხადებით ლალი ავაქიშვილმა (პ/ნ 36001003531) მოითხოვა ქალაქ თბილისში, უწერას ქუჩა N14-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე



(საკადასტრო კოდი: N01.11.01.016.081) საზოგადოებრივი-საქმიანი ზონის (სსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა:

ა) ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.033.145) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.13.033.145) პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 16 თებერვლის N01230473460 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების მოხსნა.

ამასთან, საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავე რეგისტრაციაზე (საკადასტრო კოდი: N1.18.13.033.057) სამრეწველო ზონა 1 (ს-1) შეიცვალა სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ამბულატორიის მშენებლობის პირობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.033.145) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, სოფელ ფონიჭალაში, ცოტნე დადიანის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.05.02.724) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა 2 (ს-2) და საზოგადოებრივი-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1).

საპროექტო არეალი, ფაქტობრივი მდგომარეობით, წარმოადგენს ნავთობსაცავს და ემსახურება ნავთობპროდუქტების დისტრიბუციას, შესაბამისად, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებით ხდება ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალზე გავრცელებულია სამრეწველო ზონა 2 (ს-2) და შესაბამისად, N81.05.02.724 საკადასტრო ერთეულზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება არ გამოიწვევს არსებული ზონირების ფრაგმენტაციას.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-

აღმოსავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება N81.05.02.724 საკადასტრო ერთეულის ჩრდილო-აღმოსავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ფონიჭალაში, ცოტნე დადიანის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.05.02.724) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება მისაღება;

გ) ქალაქ თბილისში, ლისის ტბის და ვაშლიჯვარს შორის, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.011.053) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ელექტრომობილების დასამუხტი ჰკვიანი აპარატების განთავსება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 14 თებერვლის N01230453491 წერილის შესაბამისად, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 9 თებერვლის N01230402830 წერილის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა (N16-01230373434; 06.02.2023).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით, მუხრან მაჭავარიანის ქუჩასა და საპროექტო ტერიტორიას შორის ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება N01.10.18.011.054 და N01.10.18.011.076 რეგისტრაციებისა და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის და ვაშლიჯვარს შორის, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.011.053) ასევე, N01.10.18.011.054 და N01.10.18.011.076 რეგისტრაციებისა და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება N01.10.18.011.053 საკადასტრო ერთეულზე ელექტრომობილების დასამუხტი ჰკვიანი აპარატების განთავსების პირობით, მისაღება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

დ) ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლებაში, IV მიკრორაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.37.012.022) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3)

სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელების მიზანია ჩხენკელის ქუჩაზე საგზაო სამუშაოების განხორციელება, რომლის ხელშეშლელ გარემოებას წარმოადგენს მასზე გავრცელებული საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).

ამასთან, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე და მიმდებარე არეალზე დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლის მიხედვითაც საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს სააგენტომ, 2023 წლის 20 თებერვლის N16-0123051459 წერილით მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებაზე დააფიქსირა დადებითი პოზიცია.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოქმნილი ხარვეზების გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საპროექტო ტერიტორიასა და არსებულ სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1) შორის მდებარე საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, რომელიც გავრცელებულია N01.19.37.016.199 და N01.19.37.017.032 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე. ამასთან, უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით არსებულ რეგისტრაციის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.19.37.017.039) ხარვეზის სახით გავრცელებული საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლებაში, IV მიკრორაიონის მიმდებარე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.37.012.022) ასევე, N01.19.37.016.199 N01.19.37.017.039; N01.19.37.017.032 რეგისტრაციებისა და მიმდებარე არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, უწერას ქუჩა N14-ის მიმდებარე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.01.016.081) მოთხოვნილია საზოგადოებრივი-საქმიანი ზონის (სსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2). ხოლო, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, გავრცელდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ). აღნიშნული ცვლილების შედეგად წარმოიქმნა შეუსაბამო მიწის ნაკვეთი.

საპროექტო მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.01.016.081) ფართობი შეადგენს 259 კვ-მ-ს. ამასთან, მიმდებარე არეალი განვითარებულია დაბალი ინტენსივობის შენობა-ნაგებობებით, დომინირებულ სახეობას წარმოადგენს ინდ.საცხოვრებელი სახლები. ტერიტორია არ არის მოქცეული მთავარი მაგისტრალის ან/და ძირითადი ქუჩის პარალელურად შესაბამისად, ტერიტორიული სტრუქტურული ზონირების მიხედვით მოქცეულია პერიფერიული ზონის (პზ) დაფარვის არეალში და

წარმოადგენს დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიულ ელემენტს.

N01.11.01.016.081 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გავრცელებული საზოგადოებრივი-საქმიანი ზონა (სსზ) არის არარელევანტური მოცემული ურბანული სტრუქტურის პირობებში და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილია მასზე გავრცელდეს დაბალი ინტენსივობის ფუნქიური ზონა - საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, უწერას ქუჩა N14-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.01.016.081) საზოგადოებრივი-საქმიანი ზონის (სსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ბ.ა“ და „ე.ბ“ ქვეპუნქტებისა და „ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად, შემდეგ საკითხებზე:

ა) ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.033.145) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა;

ბ) ქალაქ თბილისში, სოფელ ფონიჭალაში, ცოტნე დადიანის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.05.02.724) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება;

გ) ქალაქ თბილისში, ლისის ტბის და ვაშლიჯვარს შორის, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.011.053) ასევე, N01.10.18.011.054 და N01.10.18.011.076 რეგისტრაციებისა და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება N01.10.18.011.053 საკადასტრო ერთულზე ელექტრომობილების დასამუხტი ჭკვიანი აპარატების განთავსების პირობით. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;


დ) ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლებაში, IV მიკრორაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.37.012.022) ასევე, N01.19.37.016.199 N01.19.37.017.039; N01.19.37.017.032 რეგისტრაციებისა და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება;

ე) ქალაქ თბილისში, უწერას ქუჩა N14-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.01.016.081) საზოგადოებრივი-საქმიანი ზონის (სსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღებია.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერი) ირაკლი ხმაღაძეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის - თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) 2023 წლის 14 თებერვლის N01230452186-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.033.145) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა;

ბ) 2023 წლის 10 თებერვლის N01230413608-67 (01230513411-67) განცხადებით სერგო გიორგაიამ (პ/ნ:37001058879) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელი ფონიჭალა, ცოტნე დადიანის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.05.02.724) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება;

გ) 2023 წლის 16 თებერვლის N01230474-67 განცხადებით ვლადიმერ გიორგობიანმა (პ/ნ:01011076175) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ლისის ტბის და ვაშლიჯვარს შორის, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.011.053) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

დ) 2023 წლის 13 თებერვლის N14-01230441675-16 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სამგორის რაიონის სამაჟორიტარო ოლქის მიმართვის (2023 წლის 13 თებერვლის N03-032304473) საფუძველზე მოითხოვა ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლებაში, IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.37.012.022) საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება;

ე) 2023 წლის 21 თებერვლის N01230523027-67 განცხადებით ლალი ავაქიშვილმა (პ/ნ: 36001003531) მოითხოვა ქალაქ თბილისში, უწერას ქუჩა N14-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.01.016.081) საზოგადოებრივი-საქმიანი ზონის (სსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა:

ა) ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.033.145) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილებების ფარგლებში განიხილავს ქალა თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.13.033.145) პრივატიზებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 16 თებერვლის N01230473460 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების მოხსნა.

ამასთან, საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავე რეგისტრაციაზე (საკადასტრო კოდი: N1.18.13.033.057) სამრეწველო ზონა 1 (ს-1) შეიცვალა სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ამბულატორიის მშენებლობის პირობით

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.033.145) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, სოფელი ფონიჭალა, ცოტნე დადიანის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.05.02.724) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა 2 (ს-2) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1).

საპროექტო არეალი ფაქტობრივი მდგომარეობით წარმოადგენს ნავთობსაცავს და ემსახურება ნავთობპროდუქტების დისტრიბუციას, შესაბამისად, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებით ხდება ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალზე გავრცელებულია სამრეწველო ზონა 2 (ს-2) და შესაბამისად, N81.05.02.724 საკადასტრო ერთეულზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება არ გამოიწვევს არსებული ზონირების ფრაგმენტაციას.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N81.05.02.724 საკადასტრო ერთეულის ჩრდილო-აღმოსავლეთით დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელი ფონიჭალა, ცოტნე დადიანის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.05.02.724) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, ლისის ტბის და ვაშლიჯვარს შორის, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.011.053) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ელექტრომობილების დასამუხტი ჰკვიანი აპარატების განთავსება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 14 თებერვლის N01230453491 წერილის შესაბამისად, თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 9 თებერვლის

N01230402830 წერილის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა (N16-01230373434; 06.02.2023).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით, მუხრან მაჭავარიანის ქუჩასა და საპროექტო ტერიტორიას შორის ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ). აღნიშნული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.10.18.011.054 და N01.10.18.011.076 რეგისტრაციებისა და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის და ვაშლიჯვარს შორის, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.011.053) ასევე, N01.10.18.011.054 და N01.10.18.011.076 რეგისტრაციებისა და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება N01.10.18.011.053 საკადასტრო ერთულზე ელექტრომობილების დასამუხტი ჰკვიანი აპარატების განთავსების პირობით მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

დ) ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლებაში, IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.37.012.022) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელების მიზანია ჩხენკელის ქუჩაზე საგზაო სამუშაოების განხორციელება, რომლის ხელშეშლელ გარემოებას წარმოადგენს მასზე გავრცელებული საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).

ამასთან, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე და მიმდებარე არეალზე დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლის მიხედვითაც საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს სააგენტომ, 2023 წლის 20 თებერვლის N16-0123051459 წერილით მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებაზე დააფიქსირა დადებითი პოზიცია.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოქმნილი ხარვეზების გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო ტერიტორიასა და არსებულ სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1) შორის მდებარე საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, რომელიც გავრცელებულია N01.19.37.016.199 და N01.19.37.017.032 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე. ამასთან, უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით არსებულ რეგისტრაციის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: N01.19.37.017.039) ხარვეზის სახით გავრცელებული საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლებაში, IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.37.012.022) ასევე, N01.19.37.016.199 N01.19.37.017.039; N01.19.37.017.032 რეგისტრაციებისა და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, უწერას ქუჩა N14-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.01.016.081) მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიაზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2). ხოლო, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით გავრცელდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ). აღნიშნული ცვლილების შედეგად წარმოიქმნა შეუსაბამო მიწის ნაკვეთი.

საპროექტო მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.01.016.081) ფართობი შეადგენს 259 კვ-მ-ს. ამასთან, მიმდებარე არეალი განვითარებულია დაბალი ინტენსივობის შენობა-ნაგებობებით, დომინირებულ სახეობას წარმოადგენს ინდ.საცხოვრებელი სახლები. ტერიტორია არ არის მოქცეული მთავარი მაგისტრალის ან/და ძირითადი ქუჩის პარალელურად შესაბამისად, ტერიტორიული სტრუქტურული ზონირების მიხედვით მოქცეულია პერიფერიული ზონის (პზ) დაფარვის არეალში და წარმოადგენს დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიულ ელემენტს.

N01.11.01.016.081 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გავრცელებული საზოგადოებრივი-საქმიანი ზონა (სსზ) არის არარელევანტური მოცემული ურბანული სტრუქტურის პირობებში და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილია მასზე გავრცელდეს დაბალი ინტენსივობის ფუნქიური ზონა - საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, უწერას ქუჩა N14-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.01.016.081) საზოგადოებრივი-საქმიანი ზონის (სსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ბ.ა“ და „ე.ბ“ ქვეპუნქტებისა და „ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად, შემდეგ საკითხებზე:

ა) ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.033.145) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების მოხსნა;

ბ) ქალაქ თბილისში, სოფელი ფონიჭალა, ცოტნე დადიანის ქუჩა N6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.05.02.724) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება;

გ) ქალაქ თბილისში, ლისის ტბის და ვაშლიჯვარს შორის, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.011.053) ასევე, N01.10.18.011.054 და N01.10.18.011.076 რეგისტრაციებისა და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სარეკრეაციო

ზონა 2-ის (რზ-2) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება N01.10.18.011.053 საკადასტრო ერთულზე **ელექტრომოტილების დასამუხტი ჭკვიანი აპარატების განთავსების პირობით**. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

დ) ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლებაში, IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.37.012.022) ასევე, N01.19.37.016.199 N01.19.37.017.039; N01.19.37.017.032 რეგისტრაციებისა და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება;

ე) ქალაქ თბილისში, უწერას ქუჩა N14-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.01.016.081) საზოგადოებრივი-საქმიანი ზონის (სსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღებია.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმაღამეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი/ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

